

## იმკ-ის ინტერპრეტაცია 7

### „ევროს“ შემოღება

#### წყაროები:

- ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (შესწორებული 2007 წელს)“.
- ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 10 - „საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“.
- ბასს 21 - „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ (შესწორებული 2003 წელს).
- ბასს 27 - „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ (შესწორებული 2008 წელს).

#### განსახილველი საკითხი

1. 1999 წლის 1 იანვრიდან ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო ურთიერთობის ფაქტობრივი ფუნქციონირების დაწყებიდან „ევრო“ გახდება უცხოური ვალუტა და „ევროსა“ და მონაწილე ეროვნული ვალუტების გადასაცემელი განაკვეთები შეუქცევლად დაფიქსირდება, ანუ საკურსო სხვაობების რისკი მონაწილე ვალუტებისთვის ანულირდება ამ თარიღიდან.
2. განსახილველი საკითხი ეხება ბასს 21-ის გამოყენებას ევროკავშირის წევრი, ზემოთ აღნიშნული კავშირის მონაწილე ქვეყნების მიერ ახალ ვალუტაზე, „ევროზე“ გადასვლას („ახალ ვალუტაზე გადასვლა“).

#### კონსენსუსი

3. ბასს 21-ით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება უცხოური ვალუტით წარმოებული სავალუტო ოპერაციებისა და უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშებას, აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ევროზე გადასვლისას. იგივე პრინციპი გამოიყენება სავალუტო კურსის დაფიქსირებისას, როდესაც ქვეყნები შეუერთდებიან ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობას შემდგომ ეტაპზე.
4. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ:
  - ა) უნდა გაგრძელდეს ოპერაციების შედეგად მიღებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წარსადგენ ვალუტაში გადაყვანა საანგარიშგებო თარიღის საბოლოო სავალუტო კურსით. შედეგად მიღებული საკურსო სხვაობები დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს შემოსავლად ან ხარჯად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო აგრძელებს არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობისა და ზარალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია პროგნოზირებული გარიგების სავალუტო რისკის ჰეჯირებასთან;
  - ბ) უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი ჯამური საკურსო სხვაობები, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, უნდა დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში მათი რეკლასიფიკაცია უნდა მოხდეს მხოლოდ უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის დათმობისას ან ნაწილობრივ დათმობისას; და
  - გ) ზემოაღნიშნულ კავშირში მონაწილე ვალუტაში გამოხატული ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები არ უნდა დაემატოს შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებას.

## **კონსენსუსის თარიღი:**

---

1997 წლის ოქტომბერი

## **ძალაში შესვლის თარიღი:**

---

წინამდებარე ინტერპრეტაცია ძალაში შედის 1998 წლის 1 ივნისს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებში უნდა აისახოს ბასს 8-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ბასს 1-მა - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ - (შესწორებული 2007 წელს) შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, განაპირობა მე-4 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.

ბასს 27-მა (შესწორებული 2008 წელს) განაპირობა 4(ბ) პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 27-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.